



Bakhvi HPP

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”

შპს „ბახვი 2“

სასწავლო გრანტის გაცემის პრობლემა

თბილისი

2022 წელი



Bakhvi HPP

2022 წლის 1 ივლისი
შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს და შპს „ბახვი 2“-ის
დირექტორის
მიხეილ ნიბლაძეს

ბრძანება

*შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის და შპს „ბახვი 2“-ის მიერ სასწავლო გრანტის გაცემის
პირობების დამტკიცების შესახებ*

ვბრძანებ, ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურების სოციალური პროგრამის ფარგლებში, დამტკიცდეს სასწავლო გრანტის პირობები, ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული წესით.
ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მიხეილ ნიბლაძე

გენერალური დირექტორი
შპს "სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"
შპს „ბახვი 2“

სასწავლო გრანტის გაცემის პირობები

1. ზოგადი აღწერა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ და შპს „ბახვი 2“ (შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „კომპანია“) გეგმავს, გურიაში, მდ. ბახვისწყალზე, ბახვი 1 (10.9 მგვტ) და ბახვი 2 (32.1 მგვტ) ჰიდროელექტროსადგურების პროექტის განხორციელებას. პროექტების არეალში არსებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად, 2021 წლის 1 დეკემბერს, კომპანიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზე, კომპანიამ გამოთქვა მზაობა განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროექტები, მათ შორის, ხელი შეუწყოს და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს მთისპირის და ჩხაკაურას საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ჰიდროენერგეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით სპეციალობებზე. შესაბამისად, დაინტერესებულ პირთათვის სასწავლო გრანტის გაცემის პირობების გაცნობის მიზნით, კომპანიამ შეიმუშავა და დამტკიცა წინამდებარე დოკუმენტი.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს იმ აუცილებელი პირობების განსაზღვრას, რომელთა სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი სტუდენტებისათვის გაცემულ იქნება სასწავლო გრანტი.

2. სასწავლო გრანტის ოდენობა და მისი გაცემისთვის აუცილებელი პირობები

კომპანიის მიერ, სასწავლო გრანტის მოპოვებაზე განცხადების მიღება დაიწყო 2022 წლის 1 ივლისიდან და განხორციელდება მხოლოდ 2024 წლის ბოლომდე.

თითოეული სტუდენტისათვის, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე პირობებით დადგენილ მოთხოვნებს, სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის დაფინანსები მიზნით, სასწავლო გრანტის სახით, გასაცემი დაფინანსების სრული ოდენობა შეადგენს წლიურად 2,250 (ორიათას ორასორმოცდაათი) ლარს, ხოლო სემესტრულად 1125 (ათასასოცდახუთი) ლარს, საიდანაც კომპანია უზრუნველყოფს სწავლის საფასურის 80%-ის დაფინანსებას, ხოლო სწავლის საფასურის 20%-ის ანაზღაურებას



უზრუნველყოფს სტუდენტი. თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს (ან მომავალში მოიპოვებს) სწავლის სრულ დაფინანსებას სახელმწიფოსგან, კომპანია უზრუნველყოფს სტიპენდიის დანიშვნას ზემოთმითითებული სასწავლო გრანტის 80%-ის ოდენობით. სასწავლო დაწესებულების მიერ, სწავლის საფასურის გაზრდის შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს, ზემოთმითითებული პროპორციით, სწავლის დაფინანსების გაგრძელებას.

სასწავლო გრანტის გაცემის პირობების ფარგლებში, დაფინანსებას ექვემდებარება ის სტუდენტი, რომელიც კომპანიისთვის, შესაბამისი განცხადებით მიმართვის მომენტისათვის, სრულად აკმაყოფილებს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

1. წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს;
2. სულ მცირე, მე-9 კლასიდან უწყვეტად სწავლობდა ჩხაკაურას და მთისპირის საჯარო სკოლებში (დასტურდება საჯარო სკოლის მიერ დამოწმებული ცნობით).
3. წარმოადგენს ჩხაკაურას და მთისპირის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულს (დასტურდება საჯარო სკოლის მიერ დამოწმებული ცნობით);
4. მე-2 და მე-3 პუნქტებში დადგენილ პირობებთან დაკავშირებით, კომპანია ითვალისიწინებს იმ გარემოებას, რომ მთისპირის საჯარო სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის გამო, აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა სწავლა განაგრძეს სხვა საჯარო სკოლებში და კომპანია გამოხატავს მზაობას განიხილოს იმ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი განაცხადები, რომლებიც სწავლობდნენ მთისპირის საჯარო სკოლაში და ზემოთ მითითებული გარემოების გამო წარმოადგენენ სხვა საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს;
5. 2022-2023-2024 წლების მდგომარეობით, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საბაკალავრო პროგრამაზე, ჰიდროენერგეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით სპეციალობებზე, მათ შორის (TSU) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით, (ISU) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო ინჟინერიის და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით და (GTU) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ელექტრული ინჟინერიისა და სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით (აღნიშნული სამი უნივერსიტეტის კურსი აკრედიტირებულია (SDSU) სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). ამასთან, კომპანია გასცემს დამატებით სტიპენდიას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხებიან ზემოთაღნიშნულ სამ უნივერსიტეტში, ზემოთ განსაზღვრულ იმ ფაკულტეტებზე, რომლებიც აკრედიტირებულია SDSU სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. აღნიშნული ჩაირიცხვა უნდა დადასტურდეს შესაბამისი



დამოწმებული ცნობის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება უმაღლესი სასწავლებლის მიერ.

- 6. წარმოადგენს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს (დასტურდება შესაბამისი დამოწმებული ცნობის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება უმაღლესი სასწავლებლის მიერ);
- 7. საბაკალავრო კურსის განმავლობაში, უწყვეტად სწავლობს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში (დასტურდება შესაბამისი დამოწმებული ცნობის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება უმაღლესი სასწავლებლის მიერ).

3. სასწავლო გრანტის შენარჩუნებისთვის აუცილებელი პირობები. შეწყვეტის საფუძველები

3.1 თითოეული ზემოთხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომპანიის მიერ, სასწავლო გრანტის გაცემა განხორციელდება საბაკალავრო პროგრამის სრული ხანგრძლივობით (4 წელი), იმ პირობის გათვალისწინებით, რომ:

- 1. სტუდენტი განაგრძობს სასწავლო პროცესს და არ შეცვლის ჰიდროენერგეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით ფაკულტეტებს სხვა ფაკულტეტზე გადასვლით (დასტურდება შესაბამისი ცნობის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება უმაღლესი სასწავლებლის მიერ);
- 2. დამოკიდებულია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში მიღებულ საშუალო აკადემიურ მოსწრებაზე. კერძოდ, თითოეული სემესტრის დასრულების შემდეგ, კომპანია იტოვებს უფლებას მოსთხოვოს სტუდენტს ცნობა წინა სემესტრში არსებული აკადემიური მოსწრების შესახებ, რომელიც გაცემული და დამოწმებული იქნება უმაღლესი სასწავლებლიდან.

შესაბამისი უმაღლეს სასწავლებელში, ე.წ „GPA“ სწავლის შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში, კომპანია იხელმძღვანელებს ქვემოთ მოცემული, სტანდარტული GPA შეფასების სისტემით:

ქულა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	ნიშნების საშუალო მაჩვენებელი
91-100	(A) „ფრიადი“	დადებითი	4
81-90	(B) „მალიან კარგი“	დადებითი	3
71-80	(C) „კარგი“	დადებითი	2
61-70	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1
51-60	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41-50	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0



სტუდენტის მიერ, თითოეულ საგანში, A (91-100), B (81-90) და C (71-80) შეფასების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს, შემდეგი სემესტრის სასწავლო გრანტის გაცემას. სტუდენტის მიერ, D (61-70) შეფასების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს მომდევნო სემესტრისთვის განკუთვნილი სასწავლო გრანტის გაცემა. ამასთან, სტუდენტის მიერ ბოლო (დამამთავრებელ) სასწავლო კურსზე, A (91-100) და B (81-90) შეფასების მოპოვება წარმოადგენს სასწავლო გრანტის შენარჩუნების აუცილებელ პირობას.

შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიერ, ნებისმიერი სხვა სწავლის შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ, თითოეულ საგანისთვის განკუთვნილი მაქსიმალური ქულიდან, 75% და მეტი ქულის მოპოვების შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს, შემდეგი სემესტრის სასწავლო გრანტის გაცემას, ხოლო 75%-ზე ნაკლები ქულის მოპოვების შემთხვევაში, კომპანიის მიერ მოხდება მომდევნო სემესტრისთვის განკუთვნილი სასწავლო გრანტის შეწყვეტა.

3.2 გარდა 3.1 პუნქტით დადგენილი საფუძვლებისა, სასწავლო გრანტის შეწყვეტის საფუძვლებს ასევე წარმოადგენს:

3.2.1 სრული საბაკალავრო პროგრამის (4 წელი) დასრულება;

3.2.2 სტუდენტის მიერ ფაკულტეტის შეცვლა;

3.2.3 სტუდენტის გარიცხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ;

3.2.4 სტუდენტის მიერ აკადემიური წლის აღება უმაღლესი სასწავლებლიდან;

3.2.5 ნებისმიერი სხვა გარემოება რაც შეუძლებელს ხდის სტუდენტის მიერ უწყვეტად სასწავლო პროცესის გაგრძელებას;

3.2.6 მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმება;

3.2.7 კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, თუკი ბახვი 1-ის ან/და ბახვი 2-ის ჰიდროელექტროსადგურების პროექტებს შეექმნება ისეთი გარდაუვალი დაბრკოლებები, რაც შეუძლებელს ხდის მათ შემდგომ განხორციელებას. აღნიშნულის შესახებ კომპანია წერილობით შეატყობინებს სტუდენტს, შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე 3 თვით ადრე.

4. სტუდენტის მიერ განცხადების წარდგენის წესი

სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად, დაინტერესებული სტუდენტი, შევსებულ და ხელმოწერილ განცხადებას (იხ. დანართი 2) და ამ დოკუმენტის მე-2 მუხლით



განსაზღვრულ აუცილებელ საბუთებს, წარმოადგენს კომპანიის შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. N 25, ოზურგეთი, საქართველო. განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის სახით: info@bakhvi.com.ge;

განცხადებაში ან/და განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობითი განცხადებით, დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას.

სტუდენტი პასუხისმგებელია განცხადებასა და მასზე თანდართული საბუთების და მათში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 2-ში მითითებული განცხადების არასწორი შევსება და/ან მე-2 მუხლით დადგენილი რომელიმე საბუთების წარმოდგენლობის შემთხვევაში, კომპანია დაადგენს ხარვეზს და აღნიშნულის თაობაზე აცნობებს სტუდენტს, რომელსაც მიეცემა გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. სტუდენტის მხრიდან, ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევა, წარმოადგენს სტუდენტის განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს, რაზეც კომპანია თავისუფალი იქნება ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან.

5. განცხადების განხილვის პროცედურები

კომპანია განიხილავს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. დაინტერესებული პირს, ინფორმაცია სასწავლო გრანტის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ეცნობება წერილობითი ფორმით, განცხადებაში მითითებულ, სტუდენტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის სახით. სტუდენტი ადასტურებს, რომ კომპანიის მიერ, სტუდენტისთვის სასწავლო გრანტის გაცემაზე უარის თქმა არ წარმოშობს არნაირი სამართლებრივ შედეგებს და კომპანია სრულად თავისუფალი იქნება ნებისმიერი სახის ვალდებულებისა ან/და პასუხისმგებლობისაგან სტუდენტის წინაშე ან/და ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

6. პერსონალური მონაცემების გაცემა, შენახვა და დამუშავება

განცხადებისა და მასზე თანდართული ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენით სტუდენტი ადასტურებს, რომ იგი ინფორმირებულია და თანახმაა, კომპანიის მიერ,



მისი პერსონალური მონაცემების შენახვისა და დამუშავების შესახებ. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობით, სტუდენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნული პერსონალური მონაცემების, მათ შორის, სახელი და გვარი, იურიდიული მისამართი, ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მობილურის ნომერი, ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის, მისი აკადემიური მოსწრების ან/და სხვა სახის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი მიზნ(ებ)ით:

- კომპანიის მიერ სასწავლო გრანტის გაცემის ფარგლებში და მისგან გამომდინარე და მასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- სტუდენტის მიერ დასმული კითხვების დამუშავებისა და მასზე პასუხის გაცემის, გამოხმაურების მიზნით;
- ტექნიკური დახმარების ან/და კონსულტაციის გაწევის მიზნით;
- კომპანიის მიერ, კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებ(ებ)ის განხორციელების მიზნით.

კომპანია არ გადასცემს მესამე პირებს სტუდენტის პერსონალურ მონაცემებს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- აღნიშნულზე არსებობს სტუდენტის თანხმობა;
- მოქმედი კანონმდებლობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- სახელმწიფო ორგანოებისთვის ან/და სამართალდამცავი ან/და ადამსრულებელი ორგანოებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა, თუ აღნიშნული მოთხოვნილია მოქმედი კანონმდებლობებით დადგენილი წესით;
- სხვა ისეთ შემთხვევებში, რა დროსაც აუცილებელია ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება და გადაცემა მესამე პირთათვის, მოქმედი კანონმდებლობების მოთხოვნათა დაცვით

კომპანია შეინახავს სტუდენტის პერსონალურ მონაცემებს და დაამუშავებს მათ წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მიზნებისთვის, იმ ხანგრძლივობით რაც საჭიროა ამ დოკუმენტში მითითებული ამოცანების/საქმიანობის შესასრულებლად.

7. საკონტაქტო ინფორმაცია



Bakhvi HPP

დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ წერილობით, კომპანიის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე წერილის გაგზავნით:
info@bakhvi.com.ge

სასწავლო გრანტის განაცხადი

1	სახელი და გვარი		
2	სქესი	<input type="checkbox"/> ქალი	<input type="checkbox"/> კაცი
3	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		
4	მოქალაქეობა		
5	საცხოვრებელი მისამართი	რაიონი/ქალაქი/სოფელი:	
6	პირადი ნომერი (11 სიმბოლიანი ნომერი პირადობის მოწმობაში და პასპორტში)		
7	საკონტაქტო ტელეფონი		
8	საკონტაქტო ელ-ფოსტა		
9	მე-9 კლასიდან უწყვეტად სწავლობდით თუ არა ჩხაკაურას ან მთისპირის სოფლის საჯარო სკოლაში?	<input type="checkbox"/> დიახ (თან დაურთეთ დამადასტურებელი ცნობა) <input type="checkbox"/> არა	
10	ხართ თუ არა ჩხაკაურას ან მთისპირის სოფლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ?	<input type="checkbox"/> დიახ (თან დაურთეთ დამადასტურებელი ცნობა) <input type="checkbox"/> არა	
11	სად ჩაირიცხეთ?	<p>ა. სასწავლებელი:</p> <p>ბ. ფაკულტეტი/სპეციალობა/პროგრამა:</p> <p>გ. სასწავლო კურსის დაწყების წელი:</p> <p>(თან დაურთეთ ჩარიცხვის დამადასტურებელი ცნობა)</p>	



12	ხართ თუ არა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი?	<input type="checkbox"/> დიახ (თან დაურთეთ დამადასტურებელი ცნობა) <input type="checkbox"/> არა
13	იმ შემთხვევაში თუ დაწყებული გაქვთ სწავლება უმაღლეს სასწავლებელში, სწავლობთ თუ არა უწყვეტად დღემდე?	<input type="checkbox"/> დიახ (თან დაურთეთ დამადასტურებელი ცნობა) <input type="checkbox"/> არა
14	ხართ თუ არა თანახმა, სასწავლო გრანტის მიღების შემთხვევაში, თავად დაფაროთ სწავლების საფასურის 20 %?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
15	შევსების თარიღი და ხელმოწერა:	

*მისამართი: კოსტავას ქ. N 25, ოზურგეთი, საქართველო. ელ-ფოსტა:
info@bakhvi.com.ge*